

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის  
სამეცნიერო - ინფორმაციული უზრუნველყოფა

ჯაბა ბეჭვია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნეს  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,  
სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ხელმოწერა : ჯ.ბეჭვაია*

*თარიღი: 18.05.2014*

## აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო-ინფორმაციული უზრუნველყოფის შეფასებას. კერძოდ, მეცნიერული მიდგომის საფუძველზე პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, ნორმატიული და სამეცნიერო-კვლევითი მასალებით ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის მეცნიერული დასაბუთება. კვლევა განხორციელდა სამ ეტაპად: 1) პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტთა საინფორმაციო უზრუნველყოფის ანალიზი მათი ინფორმაციული საჭიროებების საფუძველზე, 2) პირველადი ჯანდაცვის დოკუმენტურ-საინფორმაციული ნაკადების ფორმირება და შესწავლა, 3) პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო-ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის დასაბუთება. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო-ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე საკმაოდ მაღალია, შეინიშნება ხარვეზები, რომლის კორექტივის გზებიც მოცემულია რეკომენდაციებში.

**საკვანძო სიტყვები:** *პირველადი ჯანდაცვა, საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა*

## მადლობა

მადლობას ვუხდით დახმარებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელს სრულ პროფესორ ბ-ნ თენგიზ ვერულავას, და თანახელმძღვანელს მაგდა ასათიანს გაწეული დახმარებისათვის. მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ხელმძღვანელს/მენეჯერსა და სპეციალისტებს, რომლებმაც მიიღეს კვლევაში მონაწილეობა